

10 დეკემბერი, 2019

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
თავმჯდომარეს და საბჭოს წევრებს

მხარდაჭერის წერილი

გვსურს გაგიზიაროთ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის კანდიდატთან ლაშა ზარგინავასთან ჩვენი მრავალწლიანი ურთიერთობის გამოცდილება და ამავდროულად, გამოვხატოთ ჩვენი უპირობო მხარდაჭერა მიმდინარე კონკურსში მისი კანდიდატურის შერჩევისათვის.

მწვანე ალტერნატივას ლაშა ზარგინავასთან წარმატებული თანამშრომლობის წლები აკავშირებს როგორც არასამთვარობო ორგანიზაცია „მედია და საზოგადოებასთან“ თავმჯდომარესთან, ასევე, როგორც პროფესიონალ და პრინციპულ ჟურნალისტთან. ამ გამოცდილების საფუძველზე, გვსურს, ხაზი გავუსვათ მის განსაკუთრებულ შრომისმოყვარეობასა და მონდომებას რეგიონისა თუ ქვეყნის სხვადასხვა სოციალური თუ გარემოსდაცვითი პრობლემების გასაშუქებლად და მოსაგვარებლად.

გვჯერა, რომ ლაშა ზარგინავას მრჩეველთა საბჭოს წევრობა ნაყოფიერი და სასარგებლო იქნება საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
ადმასრულებელი დირექტორი